პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 იანვარი, 1947 წ. № 17 (7801). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

მოსკოვი, კრემლი. ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა (1-ლი გვერდი).

თბილისის აქტივის საზეიმო-სამგლოვიარო კრება, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი (1-ლი გვერდი).

ლენინ-სტალინის დიადი დროშით. ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1947 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად (მე-3 გვერდი).

გიორგი ქუჩიშვილის ხსოვნას (მე-4 გვერდი).

მოსკოვი, კრემლი

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქალაქო აქტივის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავისადმი, გულითად მგზნებარე სალამს გიძღვნის თქვენ, სსრ კავშირის ხალხთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს.

23 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდი ლენინი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი. 23 წელია თქვენ, ამხანაგო სტალინ, მიგყავთ ჩვენი ქვეყნის ხალხები ლენინური გზით გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ განვლილი წლები ლენინიზმის იდეების უდიდესი ზეიმის, თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით მათი განუხრელი განხორციელების წლებია. ეს წლები მოწმობენ თქვენ მიერ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით ლენინის კუბოსთან დადებული ისტორიული ფიცის შესრულებას.

ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, ხელმძღვანელობდით ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის ბრძოლას ცარიზმის დამხობისათვის, დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, შეჰქმენით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ომის ქარიშხალს გაუძლო და კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი გახდა.

ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, შეჰქმენით გმირი საბჭოთა არმია — ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო დამცველი.

განუხრელად ასრულებდნენ რა ლენინის ანდერძს, ჩვენი ქვეყნის ხალხებმა თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით შეჰქმნეს ერთიანი, მძლავრი, ერთსულოვანი ოჯახი და მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნიზმისაკენ.

დიდმა სამამულო ომმა ცხადჰყო საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სიმტკიცე და უძლეველობა. ომის მკაცრ განსაცდელს ღირსეულად გაუძლო თქვენ მიერ დანერგილმა ხალხთა მეგობრობამ.

თქვენს სიბრძნესა და თქვენს მხედართმთავრულ გენიას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი სამშობლოს გადარჩენას გაპარტახებისაგან, ჩვენი ხალხის გადარჩენას მონობისაგან და ფაშისტი ბარბაროსების მიერ დამონებისაგან.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სტალინურ პოლიტიკაში საბჭოთა ხალხი ხედავს თავისი საარსებო ინტერესების გამოხატულებას, თავისი აყვავებისა და ბედნიერების საწინდარს. თქვენს სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება, მისი მისწრაფებანი და ოცნება ნათელ მომავალზე.

ამ ისტორიულ დღეებში, როცა ჩვენი ხალხი ემზადება დიადი საყოველთაო სახალხო დღესასწაულისათვის—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის — საბჭოთა ადამიანები სიამაყითა და სიხარულით წარმოსთქვამენ თქვენს სახელს, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, დეპუტატობის თავიანთი პირველი კანდიდატის სახელს.

დიდი სიხარულის გრძნობით ხვდება ქართველი ხალხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, როცა თავის პირველ ხმას მისცემს ხალხის ბედნიერების დიდ შემოქმედს, ლენინის საქმის დიდ გამგრძობს, საყვარელ და მშობლიურ სტალინს.

ქართველი ხალხი უაღრესად მადლიერია თქვენი ყოველდღიური ზრუნვის გამო საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის. მას სურს ღირსი იყოს თქვენი ნდობისა და თქვენი მზრუნველობისა.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ კომუნიზმისაკენ წინსვლის დიად გზაზე ბევრი სიძნელისა და განსაცდელის დაძლევა მოგველის, მაგრამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად იგი მზად არის გადალახოს ეს სიძნელენი და მიაღწიოს საბჭოთა საქართველოს შემდგომ აყვავებას.

ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავის დღეს, აღვნიშნავთ რა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის ხსოვნას, პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მტკიცედ შევასრულებთ ლენინის ანდერძს და თქვენს ბრძნულ მითითებებს, ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

დიდება ბოლშევიკურ პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომელნიც იმარჯვებენ ლენინიზმის დროშით!

დღეგრძელობა და სიცოცხლე ლენინის უკვდავი საქმისა და მოძღვრების დიდ გამგრძობს, ჩვენს მშობლიურ მასწავლებელსა და საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს!

## ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავს

**პრაღა**, 21 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავს. ჩეხოსლოვაკიის ყველა ქალაქში, აგრეთვე მრავალ სოფელში იმართება საბჭოთა სახელმწიფოს დიდი შემოქმედის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები.

ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი აქვეყნებს სტატიებს, ნარკვევებსა და ლექსებს ლენინზე. მთელ რიგ ქალაქებში უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს — „ლენინი ოქტომბერში", „ვიბორგის მხარე", „ფიცი" და სხვ.

# ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა

ყოველ წელს 21 იანვარს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში მშრომელნი აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლისა და ბელადის ხსოვნას.

გუშინ მოსკოვში სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში შესდგა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოების, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად.

დედაქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე, რათა პატივი სცენ ლენინის ხსოვნას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბრძოლა ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების პირველი წლები.

... სცენის სიღრმეში აღმართულია ვლადიმერ ილიას-ძის დიდი პორტრეტი, დროშებითა და ცოცხალი ყვავილებით შემკული. მდუმარედ დგას საპატიო ყარაული. სცენის თავზე ტრანსპარანტი, რომელზეც ელვარებენ სიტყვები: გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას.

ლენინის გარდაცვალებიდან 23 წელი გავიდა. საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის დიადი ლენინური პროგრამა. სტალინურმა ხუთწლედებმა, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხუთწლედებმა შესცვალეს ჩვენი სამშობლოს სახე. საბჭოთა ქვეყანა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

ლენინის უკვდავი საქმე ცოცხლობს ჩვენს დიად—სამხედრო და შრომით გამარჯვებებში, ჩვენს შემოქმედებით შრომაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

18 საათი და 50 წუთია... საზეიმო-სამგლოვიარო სხდომის პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კუზნეცოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, გ. მ. პოპოვი, მ. თ. შკირიატოვი.

სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციით მიესალმებიან ამხანაგ ი. ბ. სტალინს და მის ერთგულ თანამებრძოლებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

თავმჯდომარე ამხ. შვერნიკი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომას გახსნილად აცხადებს.

— ამხანაგებო! საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოების, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომას პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავისადმი, გახსნილად ვაცხადებ.

23 წლის წინათ, 21 იანვარს, 6 საათსა და 50 წუთზე შესწყდა ბოლშევიკების დიადი პარტიის ფუძემდებლისა და ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გულის ძგერა. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნას.

ღრმა დუმილში ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. გ. თ. ალექსანდროვს.

მომხსენებელი ლაპარაკობს თუ რა გმირული გზა განვლო საბჭოთა ხალხმა, რომელიც დიდი ლენინის კვალს მიჰყვება. ბოლშევიკების პარტიამ, რომელიც გაბედულად და მტკიცე რწმენით შეუდგა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო ისტორიული წარმატებები მოიპოვა. პარტიამ დაამარცხა ხალხის მტრები — კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, ბუხარინელები, და სხვა გამცემლები და კაპიტულანტები, და დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი სოციალიზმისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ხალხმა შეასრულა ლენინის მთავარი ანდერძი: ააგო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება—კომუნიზმის პირველი საფეხური.

ამხანაგ სტალინის — ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის — სახელის ხსენებისას კრების ყველა მონაწილე მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას მართავს.

პარტიამ შეასრულა ლენინის მიერ ნაანდერძევი ამოცანა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისა, საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ერისა და ხალხის თავისუფალი განვითარებისა და თანამშრომლობისა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა.

— ომმა ცხადჰყო,—აცხადებს ამხ. ალექსანდროვი,—რომ ამჟამად არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადააჭარბოს საბჭოთა საზოგადოების სიმძლავრეს. ამ განცხადებას დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხუთწლედების მანძილზე შექმნილმა ეკონომიურმა ბაზამ ჩვენს ხალხს შეაძლებლობა მისცა უკვე ომის მსვლელობაში და კიდევ უფრო საფუძვლიანად ომის დამთავრებისთანავე შესდგომოდა მეურნეობის სწრაფად აღდგენას და შემდგომ მშვიდობიან მშენებლობას.

პირველი წელი ახალი, ომისშემდგომი ხუთწლედისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს, აღინიშნა მნიშვნელოვანი მიღწევებით სახალხო მეურნეობაში.

— ჩვენმა ქვეყანამ, — განაგრძობს ამხ. ალექსანდროვი, — ახლა კვლავ გაშალა თავისი მძლავრი ძალები მშვიდობიანი შრომის ფრონტზე. მძიმე ომი უკან მოვიტოვეთ. მაგრამ ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინური, რომ მტერზე დიდი გამარჯვების შემდეგაც იგი ხალხს ასწავლის განცხრომას კი არ მიეცეს, არამედ ფხიზლად და ფრთხილად იყოს.

— ჩვენი პარტიის ძალა, საბჭოთა ადამიანების ძალა ის არის, რომ ისინი იბრძვიან, მუშაობენ და თავიანთ ცხოვრებას აშენებენ ილიჩისებურად, —ამბობს ამხ. ალექსანდროვი.

თავისი მოხსენების დასასრულ ამხ. ალექსანდროვი ლაპარაკობს ლენინურ პარტიაზე — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალაზე.

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც მიძღვნილია ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — ამხანაგ სტალინისადმი, კრება მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდება. სხდომის ყველა მონაწილენი ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან ამხანაგ სტალინს. შეკრებილნი ასრულებენ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

* * *

საზეიმო-სამგლოვიარო სხდომის დამთავრების შემდეგ უჩვენეს დოკუმენტალური ფილმი ვ. ი. ლენინის ცხოვრებიდან—კინოსურათი „ლენინი ოქტომბერში" და კონცერტი დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საკდესი).

# თბილისის აქტივის საზეიმო-სამგლოვიარო კრება, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი

გუშინ, 21 იანვარს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიმართა თბილისის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივის კრება სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბუჯიაშვილი, ი. მასლენიკოვი, ა. თოფურიძე, პ. შარია, მ. ჯაში, ა. რაფავა, ი. კოჩლამაზაშვილი, ვ. გოგუა, ზ. კეცხოველი, გ. კარანაძე, გ. ზამბახიძე, კ. ჭიჭინაძე, კ. ბარიგიანი, ი. ზოდელავა, მ. ბალავაძე, გ. გოჩაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ვასაძე და ა. ხორავა, პოეტები გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები შ. ღამბაშიძე და ე. სოხაძე, პროფესორი კ. ერისთავი, მინისტრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

დარბაზი სავსეა დედაქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებით. აქ არიან საბჭოთა კავშირის გმირები, სამამულო ომის ფრონტებზე მამაცობის გამოჩენისათვის ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ადამიანები, თბილისის საწარმოთა სტახანოველები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები.

საზეიმო-სამგლოვიარო კრებას ხსნის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. გოგუა.

— 23 წლის წინათ, — სთქვა მან, — გარდაიცვალა უდიდესი ადამიანი, ჩვენი პარტიის დიდი ბელადი, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას!

ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

კრების თავმჯდომარემ წინადადებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანს ამხ. ნ. გაბუნიას.

— წინადადება შემომაქვს, — სთქვა ამხ. გაბუნიამ, — კრების საპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ

ხალხთა ბელადი დიდი სტალინი!

ბრძენი ბელადის, ლენინის დიადი საქმის განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი დარბაზში ხანგრძლივ, მქუხარე ოვაციას იწვევს.

ამხანაგ სტალინთან ერთად კრების საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნენ ამხანაგები მოლოტოვი, ბერია, ჟდანოვი, ანდრეევი, ვოროშილოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ხრუშჩოვი, შვერნიკი, ვოზნესენსკი, ბულგანინი და კოსიგინი.

სიტყვა მოხსენებისათვის — XXIII წელი ულენინოდ, ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით — ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს პროპაგანდის დარგში ამხ. პ. ა. შარიას.

მომხსენებელი ვრცლად ახასიათებს დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა მიერ განვლილ, გმირული ბრძოლებითა და დაუღალავი შრომით აღსავსე პერიოდს. მას ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას მქუხარე ტაშით, როდესაც ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელზე და ორგანიზატორზე ამხანაგ სტალინზე.

მომხსენებელმა გააშუქა ის უმაგალითო საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა, რითაც საბჭოთა კავშირის ხალხები, მათ შორის საქართველოს მშრომელებიც, ემზადებიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის. მან ილაპარაკა იმ საყოველთაო სახალხო სიხარულზე, რაც გამოიწვია ამხანაგ სტალინის თანხმობამ კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ამხ. პ. შარიას მოხსენების შემდეგ წინადადება შემოვიდა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს დიდ სტალინს. ამ წინადადებას მთელი დარბაზი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა. ამხანაგ სტალინისადმი მისალმების ტექსტი წაიკითხა ამხ. ვ. მაჭავარიანმა.

მისალმების ტექსტი მიღებულ იქნა ერთხმად, ხანგრძლივი ოვაციით.



საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავისადმი. პრეზიდიუმში: (მარცხნიდან) ამხანაგები არმიის გენერალი მასლენიკოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, კ. ჩარკვიანი, ვ. გოგუა, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, ნ. მუსხელიშვილი, ა. გიგოშვილი; მარჯვნივ ტრიბუნაზე ამხ. პ. შარია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

# ლენინ-სტალინის დიადი დროშით

## ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1947 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე

ამხანაგებო! ოცდასამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. წელს, 1947 წელს, ოცდაათი წელიწადი უსრულდება დიდი ლენინის მიერ დაარსებულ საბჭოთა რესპუბლიკას. აქედან შვიდ წელიწადზე ნაკლებ ხანს შესძლო ლენინმა ეხელმძღვანელა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი პარტია უკვე ოცდასამი წელია იბრძვის ლენინის ანდერძის განსახორციელებლად, განამტკიცებს და განადიადებს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, აშენებს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებას და მიჰყავს იგი წინ ლენინური გზით. მრავალი მოვლენა მოხდა ამ დაძაბულ წლებში. ბევრი მკაცრი განსაცდელი ხვდა წილად საბჭოების რესპუბლიკას. ამ მოკლე ვადაში საბჭოთა ხალხმა შეასრულა დიდი საქმეები, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე. მტკიცედ ადგნენ სოციალიზმის გამარჯვების კურსს, იბრძოდნენ საბჭოთა წყობილების დამკვიდრებისა და აყვავებისათვის ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ბელადი ამხანაგი სტალინი. (მქუხარე ტაში). ბოლშევიკების პარტიას მთელი ამ წლების მანძილზე ამაყად მიჰქონდა თავისი ლენინური დროშა სულ წინ და წინ და დიდებას მატებდა მას. საბჭოთა ხომალდი თავისი ნაცადი მესაჭით მთელი ამ წლების მანძილზე სძლევდა გრიგალსა და ქარიშხალს და მიდიოდა დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

### I

### საბჭოთა ხალხი დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას მიჰყვება

საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა რუსეთში არის „...ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაგებად“ (თხზ., ტ. XXVII, გვ. 392).

ბოლშევიკების პარტია გაბედულად და მტკიცედ შეუდგა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას და მოიპოვა მსოფლიო ისტორიული წარმატებანი. პარტიამ თავისი რიგები შეამჭიდროვა ამხანაგ სტალინის გარშემო, დაამარცხა ხალხის მტრები, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვა გამცემლები და კაპიტულანტები, და სოციალიზმისათვის საბრძოლველად დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დასძლია ყველა სიძნელე და განსაცდელი და შეასრულა ლენინის მთავარი ანდერძი: ააგო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება — კომუნიზმის პირველი საფეხური.

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილი, თანამედროვე სოციალისტური მრეწველობა. საბჭოთა გლეხობა კოლმეურნეობებში გაერთიანდა და საბოლოოდ დაადგა სოციალიზმის გზას. ექსპლოატატორული კლასები სავსებით ლიკვიდირებულ იქნენ. პარტიამ წარმატებით შეასრულა ლენინის მიერ ნაანდერძევი ამოცანა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისა, საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ერისა და ხალხის თავისუფალი განვითარებისა და თანამშრომლობისა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა. ომის წინ ყოველი მშრომელი უკვე გარკვევით გრძნობდა ახალი, სოციალისტური წყობილების მშენებლობისათვის თავისი შრომის ნაყოფს. დგებოდა დოვლათიანობის, მუშათა და გლეხთა შეძლებული ცხოვრების ხანა. ხალხმა შესაძლებლობა მიიღო ესარგებლა სოციალისტური კულტურის ნაყოფით. ომი რომ არა, რომელიც თავს მოგვახვიეს ფაშისტმა მტარვალებმა, საბჭოთა ქვეყანა ამ წლებში ახალ მძლავრ აყვავებას მიაღწევდა, ხოლო საბჭოთა ადამიანები სავსებით ისარგებლებდნენ სოციალიზმის მატერიალური და კულტურული სიკეთით.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის ცხოვრებაში გატარებამ, ომისწინა სამი ხუთწლედის განხორციელებამ ჩვენი ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ გახადა. „ეს იყო ნახტომი, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომლის საშუალებითაც ჩვენი სამშობლო გადაიქცა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავედ, აგრარულიდან — ინდუსტრიულად...“. ამით შეიქმნა ეკონომიური ბაზა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო მტრის განადგურება სამამულო ომში. ამ ბაზაზე დაყრდნობით, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის უძლეველი დროშით, გამოიჩინეს დიდი გმირობა, დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლო და მოიპოვეს ისტორიული გამარჯვება გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტებზე. ომმა ცხადჰყო, რომ ამჟამად არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადააჭარბოს საბჭოთა საზოგადოების ძლიერებას.

ხუთწლედების მანძილზე შექმნილმა ეკონომიურმა ბაზამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს უკვე ომის მსვლელობაში და კიდევ უფრო საფუძვლიანად ომის დამთავრებისთანავე შესდგომოდა მეურნეობის სწრაფად აღდგენას და შემდგომ მშვიდობიან მშენებლობას.

ომიდან მშვიდობაზე გადასვლამ პირველ ადგილზე წამოაყენა სამეურნეო მშენებლობის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საკითხები.

ომმა დიდი ნგრევა და ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ცნობილია, რომ ომმა ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზეც კი მოახდინა გავლენა, რომლებსაც მტრის ჯარების მიერ გაძარცვა და გაპარტახება არ განუცდიათ, ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზეც, რომლებსაც სრული ზომით არ განუცდიათ სამხედრო დაძაბულობა ომის პირველ წლებში. ცნობილია, რომ ამ ქვეყნებმა, როგორც, მაგალითად, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ყველაზე დიდი საომარი მოქმედება გააჩაღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში შეიჭრნენ 1944 წლის ივნისში, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, ე. ი. როცა ცხადი გახდა, რომ საბჭოთა არმიას ძალა შესწევდა მოკავშირეების დაუხმარებლად, საკუთარი ძალებით მოეხდინა მთელი გერმანიის ოკუპაცია და გაეთავისუფლებინა ევროპის ხალხები გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან. საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც ომის პირველი დღეებიდანვე უნდა დაეძაბა მთელი თავისი ძალები მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და რომელმაც განიცადა გერმანელ ფაშისტთა სამხედრო შემოსევის მთელი სიმძიმე, განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა ომისაგან.

გასაგებია, რომ მძიმე ომის შედეგები, ჩვენი ქვეყნის მრავალი რაიონის გაპარტახების შედეგები ახლა გავლენას ახდენენ ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო მდგომარეობაზე და წარმოშობენ მთელ რიგ სიძნელეებს. მაგალითად, მეტად საგრძნობია ქვანახშირისა და ლითონის, ხე-ტყის, საშენი მასალებისა და მრავალი სახის მოწყობილობის ნაკლებობა. ომმა შეასუსტა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები. განვლილ წელს დამატებითი სიძნელეები შეჰქმნა ძლიერმა გვალვამ და მოუსავლიანობამ უკრაინაში და სსრ კავშირის მთელ რიგ სხვა ოლქებში, რამაც გააძნელა ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა.

ახლა საბჭოთა ხალხი ფართო ფრონტით ახდენს ომის შედეგების ლიკვიდაციას და აჩაღებს ბრძოლას მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პატრიოტიზმი, რაც საბჭოთა ადამიანებმა სამშობლოს დაცვაში გამოიჩინეს, ამჟამად თავს იჩენს ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის შრომითი ენთუზიაზმით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება, გეგმისა, რაც საბჭოთა ხალხმა მიიღო საბრძოლო პროგრამად, რომელიც სავსებით შეესაბამება მის საარსებო ინტერესებს, კიდევ უფრო გააძლიერებს და განადიადებს საბჭოთა ქვეყანას.

ახალი, ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წელი აღინიშნა მნიშვნელოვანი მიღწევებით სახალხო მეურნეობაში. მრეწველობა გარდაიქმნა სამოქალაქო პროდუქციის გამოსაშვებად. სწრაფად ხდება იმ რაიონების აღორძინება, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს. განთავისუფლების დასაწყისიდან ამ რაიონებში აღდგენილია 25 ბრძმედი, 100-ზე მეტი მარტენის ღუმელი, რამდენიმე ათეული საგლინავი დაზგა. ფართოდ გაჩაღდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, განსაკუთრებით მტრის მიერ გაპარტახებულ რაიონებში. 1945 წელთან შედარებით შავი მეტალურგიის საწარმოებმა 1946 წელს თუჯის წარმოება გაადიდეს 12 პროცენტით, ფოლადისა — 9 პროცენტით, ნაგლინისა — 13 პროცენტით. ნავთის მოპოვება გაიზარდა 12 პროცენტით, ცემენტის წარმოება — 85 პროცენტით. ტრაქტორების გამოშვება გადიდდა 72 პროცენტით. სატვირთო ავტომობილების წარმოება გაიზარდა 38 პროცენტით. განვლილ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროსადგურთა სიმძლავრე. საფეიქრო და მსუბუქმა მრეწველობამ 1946 წელს ჩვენს ქვეყანას მისცეს მეტი საქონელი, ვიდრე 1945 წელს. ბამბის ქსოვილთა გამოშვება გადიდდა 17 პროცენტით, მაუდეულისა — 30 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა — 36 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 28 პროცენტით. მთლიანად მრეწველობის სამოქალაქო პროდუქცია 1946 წელს გაიზარდა 20 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე გადიდდა 13 პროცენტით.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განვლილ წელს მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების განსამტკიცებლად. პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მათ მიიღეს ზომები, რათა გადაჭრით აღიკვეთოს საკოლმეურნეო მიწებისა და კოლმეურნეობათა ქონების დატაცების ფაქტები, განუხრელად იქნას დაცული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. საბჭოთა მთავრობამ გვალვისაგან დაზარალებულ კოლმეურნეებს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა სურსათითა და თესლით. ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა ამოცანა — მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, მოსავლიანობის სერიოზულ გადიდებას და მოსავლის სიმყარეს ჩვენს საბჭოთა მინდვრებზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაძლიერებულ მზადებას საგაზაფხულო თესვისათვის და მიმდინარე წელს თესვის კარგი ხარისხით ჩატარებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი მოითხოვენ, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია განიმსჭვალოს ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით და მოაწყოს ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით, საქონელბრუნვის ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. მით უფრო დაბეჯითებით ისმება ახლა ამოცანა გავაუმჯობესოთ თვითეული კოლმეურნეობის როგორც მსხვილი სოციალისტური მეურნეობის მართვა. ამხანაგი სტალინი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უსახავს ამოცანას უზრუნველჰყონ კოლმეურნეობანი ადამიანთა ერთგვარი მინიმუმით, „...რომლებსაც მეურნეობის დაგეგმვისა და მისი ორგანიზებულად გაძღოლის უნარი შესწევთ“, განამტკიცონ ჩვენი სოფელი კარგ ორგანიზატორთა და პოლიტიკურ მუშაკთა მნიშვნელოვანი კადრებით. ამ ამოცანის შესრულება კიდევ უფრო ძლიერს გახდის ჩვენს კოლმეურნეობებს.



ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა საკითხს საბჭოთა ვაჭრობის გაფართოებისა და განმტკიცების, როგორც ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალების შესახებ. პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ზომები საქონელბრუნვის ომისშემდგომი გარდაქმნისა და განვითარებისათვის. გადიდებულია ფართო მოხმარების საქონლის სავაჭრო ფონდები. გატარებულია გარდამავალი ღონისძიებანი მაღალი კომერციული ფასების დასაახლოვებლად დაბალ საულუფო ფასებთან, საბარათო სისტემის გაუქმებისა და ერთიანი ფასების შემოღებისათვის პირობების შესაქმნელად. მთავრობის გადაწყვეტილებანი კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღებისა და სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების მიერ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ უახლოეს ხანშივე გამოიწვევენ ბაზარზე ფართო მოხმარების საქონლის მასის სერიოზულ გადიდებას.

გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობათა გამოყენებით, საბჭოთა სახელმწიფომ ორგანიზებულად მოახდინა მეურნეობის გადაყვანა მშვიდობიანი განვითარების გზაზე.

განსაკუთრებით დიდია ამჟამად მშენებლობისა და წარმოების ტემპების როლი, ვინაიდან სწორედ მათთან დაკავშირებულია ახლა ომის შედეგების უსწრაფესი დაძლევა, მეურნეობის აღდგენა და განვითარება, ჩვენი ხალხის მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტური მშენებლობის ტემპებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო ნგრევა იყო, ლენინი აღნიშნავდა, რომ „...ადგილებზე განუხრელად უნდა მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ გეგმა სრულდებოდეს უფრო მალე, ვიდრე გათვალისწინებულია, რათა მასები ხედავდნენ, რომ გამოცდილებას შეუძლია შეამოკლოს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მრეწველობის სრულ აღდგენას გვაშორებს. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მოდით ყოველ სახელოსნოში, ყოველ დეპოში, ყოველ დარგში გავაუმჯობესოთ მეურნეობა, და მაშინ ჩვენ ვადას შევამცირებთ“. (თხზ., ტ. XXVI, გვ. 43). როცა სამოქალაქო ომი მთავრდებოდა, ლენინი ამბობდა: „ენერგია, რაც ომში გამოვიჩინეთ, ამდენადვე უნდა გამოვიჩინოთ შრომის დარგშიც“. (თხზ. ტ. XXV, გვ. 21). შრომის ფრონტზე გამარჯვებისათვის ლენინი ყველა შეგნებულ მშრომელს მოუწოდებდა გამოეჩინათ მეტი შეუპოვრობა, სიმტკიცე, დაჟინება, მეტი ორგანიზატორული და ადმინისტრატორული ოსტატობა.

ამჟამად, სხვა ისტორიულ ვითარებაში, ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის წინაშე აყენებს საკითხს ჩვენი მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპების დაჩქარების შესახებ როგორც ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეთა უსწრაფესი გადალახვის საშუალებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ მშენებლობისა და წარმოების ზრდის ტემპები მრეწველობის ყველა დარგში, დავაჩქაროთ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა აღდგენა, ახლების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, წინ წავწიოთ მრეწველობის ჩამორჩენილი დარგები და საწარმოები, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ, მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ყველა საწარმოში.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამხანაგი სტალინი მრავალგზის მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება და მრეწველობის განვითარების დაჩქარება თანამედროვე პირობებში ნიშნავს გავუთანასწორდეთ მოწინავე მუშებს, მოწინავე ქარხნებს, შახტებს, ელექტროსადგურებს, რკინიგზებს, რიტმულად მომუშავე, წარმოების მაღალი კულტურის მქონე საწარმოებს, რომლებიც სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ სახელმწიფო გეგმებს. ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხოა ჩამორჩენილი ადამიანებისა და ჩამორჩენილი საწარმოებისაგან მაგალითის აღების პრინციპი. ახლანდელ პირობებში, როცა საბჭოთა ქვეყნისათვის საჭიროა ცხოვრების ყველა დარგში სწრაფი წინსვლა, ჩვენი მუშები, სამეურნეო მუშაკები, საბჭოთა და პარტიული მუშაკები წარმოების საშუალო მაჩვენებლებს ვერ დასჯერდებიან. საბჭოთა საზოგადოება მოწინავე საზოგადოებაა, რომლის განვითარებაც წინსვლითი, აღმავალი მიმართულებით მიდის. ამ მოძრაობამ უნდა მოიცვას მთელი მუშათა კლასი, მთელი გლეხობა, მთელი ინტელიგენცია. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მთელი ძალღონით ვცდილობდეთ საბჭოთა ქვეყნის პირობებში მეურნეობის გაძღოლის ლენინურ-სტალინური პრინციპის განხორციელებას და გადაჭრით წავწიოთ ჩამორჩენილი და საშუალოდ მომუშავე საწარმოები მოწინავეებისაკენ, ბოლო მოვუღოთ წარმოებაში საშუალო ციფრებზე, საშუალო შედეგებზე დაყრდნობას. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული მუშათა და მოსამსახურეთა სოციალისტური შეჯიბრება უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ამ ამოცანის განხორციელებაში.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი რთული სამეურნეო ამოცანები, განვავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები, საჭიროა ყოველდღიურად ვასრულებდეთ ლენინის მოთხოვნებს მეურნეობის მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების, აპარატის ოპერატიულობისა და მუშაობის უნარის გადიდების, შტატების გაბერვის წინააღმდეგ ბრძოლის, ყოველგვარი რუტინის, უძრაობისა და მოუქნელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები მოვალენი არიან ტუდად ახსოვდეთ ლენინისა და სტალინის მითითებანი ყველაფერში მომჭირნეობის უსასტიკესი გატარების შესახებ, ჩვენს ქვეყანაში არსებული მთელი რესურსების ყველაზე რაციონალურად გამოყენების საჭიროების, დანაკარგებთან, უყაირათობასთან და უნაყოფო ხარჯებთან ბრძოლის, სამეურნეო ანგარიშის ზუსტად გატარების შესახებ, კადრების წარმატებით მომზადების, სწორად განაწილებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მათი გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენმა ქვეყანამ ახლა კვლავ გაშალა თავისი მძლავრი ძალები მშვიდობიანი შრომის ფრონტზე. მძიმე ომი უკან მოვიტოვეთ. მაგრამ ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინური, რომ მტერზე დიდი გამარჯვების შემდეგაც იგი ხალხს ასწავლის განცხრომას კი არ მიეცეს, არამედ ფხიზლად და ფრთხილად იყოს. ხომ ცნობილია, რომ გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურების შემდეგაც მაინც არ სცხრებიან ახალი ომის ახლანდელი მოთავენი, ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მართალს ამბობენ ჩვენს ხალხში: არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა (საერთო გამოცოცხლება დარბაზში). მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას — თანამედროვე რეაქცია აშკარად გადაჭარბებით აფასებს თავის ძალებს როგორც საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით დემოკრატიისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. არც ისე იოლია ახლა, რომ მშვიდობის მტრებმა ახალი ომი გააჩაღონ. ხალხებს მშვიდობა სურთ და მისთვის იბრძვიან. მართალია, ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ათავსებს თავის ძალებს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში, თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში. მაგრამ დემოკრატიისა და მშვიდობის ძალები ბევრად სჭარბობენ რეაქციისა და ომის მომხრეთა ძალებს. ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია, ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, ახორციელებენ თანმიმდევრულ პოლიტიკას, მიმართულს ხალხთა შორის მტკიცე დემოკრატიული მშვიდობის დამყარებისაკენ, იმპერიალისტებისა და ფაშისტთა ნაბოლარების ყველა იმ ცდის აღკვეთისაკენ, რომელთა მიზანია გააჩაღონ ხალხთა შორის სიძულვილი, დასთესონ შუღლისა და მტრობის თესლი, მოამზადონ ნიადაგი ახალი მსოფლიო ომისათვის. და საბჭოთა ქვეყანას შეუძლია იამაყოს თავისი წარმატებებით ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, დემოკრატიული წესწყობილებისა და იდეების გამარჯვებისათვის, შეუძლია იამაყოს თავისი მოღვაწეებით, რომლებიც ლენინურად მუშაობენ ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო, 23 წელია ჩვენი პარტია ლენინის—თავისი დამაარსებლისა და აღმზრდელის — გარდაცვალების შემდეგ, წინ მიდიოდა მისი დიადი დროშით. ჩვენი პარტიის სწორი ლენინური პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა ქვეყანა თანამედროვე მოწინავე პროგრესული ძალების სათავეში დგას. ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ იმით, რომ ისინი აღზარდა თანამედროვე ეპოქის უდიდესმა გენიოსმა, რომ ისინი იბრძვიან ლენინის—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფუძემდებლის, აზრისა და რევოლუციური მოქმედების გიგანტის დროშით. ლენინური პარტია თავისი დამაარსებლისა და მასწავლებლის ღირსი აღმოჩნდა. თავისი ბელადის მოძღვრება მან მიიღო საბრძოლო პროგრამად. „ასე გვასწავლიდა ლენინი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — და ჩვენ ამ საქმეში ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას მივყვებოდით“.

დაე კვლავაც გამრავლდეს და გაიზარდოს სოციალიზმის ძალები მშრომელთა სასიხარულოდ, მათი მტრების თავზარდასაცემად! ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო! (ტაში).

### II

### ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ილიჩისებურად

ჩვენი პარტიის ძალა, საბჭოთა ადამიანების ძალა ის არის, რომ ისინი იბრძვიან, მუშაობენ და თავიანთ ცხოვრებას აშენებენ ილიჩისებურად. ამხანაგი სტალინი ამბობს:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, ისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი“.

„აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა — ილიჩისებურად“.

ლენინი იმ აზრისა იყო, რომ კომუნიზმის პრაქტიკულ საქმეებად განხორციელებისათვის, ადამიანებს — ახალი სამყაროს შემოქმედთ მოეთხოვებათ მაღალი შეგნებულობა და კულტურულობა.

ამის გამო ლენინი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა აღზრდას კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით. „ჩვენ მარქსისტული პროგრამით აღვზარდეთ პროლეტარიატის პარტია, — ამბობდა ლენინი, — და ასევე უნდა აღვზარდოთ ათეულ მილიონობით მშრომელნი, რომელნიც ჩვენ გვყავს“. (თხზ., ტ. XXIV, გვ. 152-153).

პარტიამ თავისი მასწავლებლის ამ ანდერძის შესასრულებლად უდიდესი მუშაობა გასწია საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნების განვითარების, მშრომელთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის, მშრომელებში სოციალიზმის შემოქმედთათვის ჩვეულ ახალ თვისებათა ჩანერგვისათვის.

ახლა, როცა ჩვენმა ქვეყანამ უმოკლეს ვადაში უნდა დასძლიოს ომისშემდგომი დროის სიძნელენი, განახორციელოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათან გადასვლის ამოცანა, საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნების ამაღლებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეურნეობის ნგრევის წლებში, რაც ომით იყო გამოწვეული, ლენინი მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა ეშრომათ მძიმე მდგომარეობისაგან თავდასაღწევად და ამბობდა: „... ჩვენ ვიწყებთ ახალ უსისხლო ბრძოლას ამ შეგნებულობისათვის“. (თხზ. ტ. XXV, გვ. 15).

სოციალიზმი თავისი მშენებლებისაგან —მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან მოითხოვს სახელმწიფოს მართვის, მეურნეობის შეგნებულად გაძღოლის უნარს. ამისათვის აუცილებელია, რომ საბჭოთა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას ნათლად ჰქონდეთ შეგნებული მათ წინაშე დასახული ამოცანები, უნარი შესწევდეთ დროზე დაინახონ ცხოვრებაში ახალი, სოციალისტური, მხარი დაუჭირონ მას, გამოიცნონ და აღკვეთონ ყოველივე, რაც უკან იწევს, აბრკოლებს სოციალიზმის დამკვიდრებასა და ზრდას. კომუნიზმი, ამბობდა ლენინი, გასაგები უნდა გახდეს მუშათა მასებისათვის ისე, როგორც მათი საკუთარი საქმე.

ჩვენი ბოლშევიკური პარტია ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის მთელ მუშაობას აშენებს ლენინის იდეათა საფუძველზე, ლენინიზმის საფუძველზე. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად, პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, პარტიის მთელი იდეოლოგიური და კულტურული მუშაობის ასამაღლებლად.

უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში 612.360 ათასი ცალის რაოდენობით გამოიცა ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი. 37.433 ათას ცალად გამოცემულია მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებნი. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ზომები მიიღო ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის უფრო სწრაფად გამოშვებისათვის. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იბეჭდება ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი გამოცემა. სამი პირველი ტომი უკვე გამოვიდა. ცენტრალური კომიტეტის მითითებით ხელახლა გამოცემულია 10 მილიონ ცალად „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ლენინისა და სტალინის თხზულებებში განზოგადოებულია გამოცდილება ბოლშევიკური პარტიის ბრძოლისა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის. ამ ნაწარმოებებში განვითარებული და ახალი გამოცდილებით გამდიდრებულია მარქსისტული თეორია. ჩვენი პარტიის ფუძემდებელთა და მასწავლებელთა თხზულებების გამოცემა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ჩვენი კადრების აღზრდაში, იდეურ გამოწრთობაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა სტალინმა მიგვითითეს დიდ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გვხვდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ზოგიერთ ნაწარმოებში. ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მთელ რიგ ნაწარმოებებში გამოვლინებული უიდეობისა და აპოლიტიკურობის სალიკვიდაციოდ, ბოლშევიზმისათვის უცხო შეხედულებათა მიმართ შეუწყნარებელი ლიბერალიზმის აღმოსაფხვრელად პარტიის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# ლენინ-სტალინის დიადი დროშით

## ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1947 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე

(დასასრული)

მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვეს ჩვენი კადრების, ინტელიგენციის უფართოეს წრეებში. ამ ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობაა. ძლიერდება პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა. უფრო მაღალ საფეხურზე ადის სახელოვანი ბოლშევიკური ტრადიციების სულისკვეთებით, ლენინიზმის სულისკვეთებით კადრების აღზრდის მთელი საქმე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოიწვევს აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტებისა და ყველა იმ მეცნიერის მოღვაწეობის აღმავლობას, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა — ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, საერთაშორისო ურთიერთობის—დარგში მუშაობენ.

პარტიამ ღირსშესანიშნავი ღონისძიებანი მიიღო მშრომელთა შორის მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად. თავის აღმზრდელობით მუშაობაში პარტია ხელმძღვანელობს ამხანაგ სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანებს თვალწინ ჰქონდეთ დიდი ლენინის დიადი სახე და მუშაობდნენ ლენინურად.

ლენინურად მუშაობა ნიშნავს თავდადებით გიყვარდეს საბჭოთა სამშობლო, ჩვენი სოციალისტური მამული, ჩვენი ხალხი, იყო მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, მჩქეფარე ენერგიით იშრომო სამშობლოს საკეთილდღეოდ, მზად იყო მის დასაცავად მტრებისაგან, უშიშარი იყო ბრძოლაში და ულმობელი ხალხის მტრებისადმი. ეს ნიშნავს აგრეთვე დაიცვა და განამტკიცო ლენინური პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა, ყოველნაირად განამტკიცო ეს მეგობრობა.

მიბაძო ლენინს და მიჰყვე მას ყველაფერში — იმას ნიშნავს, რომ იყო გაბედული ნოვატორი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, იყო კონსერვატიზმის რუტინისა და უძრაობისაგან თავისუფალი ადამიანი, არ მიეცე პანიკას სიძნელეების დროს, გაბედულად იარო წინ და გაიყოლიო სხვები, შემოქმედებითად მიუდგე საკითხების გადაჭრას. ლენინი საბჭოთა ადამიანებს უნერგავდა შეუპოვრობას მიზნის მიღწევაში, რევოლუციურ სიმტკიცეს სიძნელეთა დაძლევაში. ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ ბოლშევიკებს უნდა შეეძლოთ „მძლავრი რევოლუციური აღფრთოვანებისა და ბოლშევიკ მშენებელთა მტკიცე გამრჯელობის“ შეხამება.

მიბაძო ლენინს იმას ნიშნავს, რომ მხნე იყო ცხოვრებაში სოციალიზმის წარმატებისათვის ბრძოლაში, მართალი და პატიოსანი იყო, იყურებოდე წინ და აღწევდე სულ ახალ-ახალ წარმატებას, ღრმად გწამდეს ჩვენი პარტიის საქმე, დიდი ლენინის საქმე. მხნეობა, საკუთარი ძალებისადმი რწმენა, კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლების დასაძლევად მზადყოფნა ის შესანიშნავი თვისებებია, რომლებიც ბოლშევიკების პარტიამ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა.

ვის შეუძლია უარჰყოს ახლა, რომ ეს მაღალი კეთილშობილური თვისებები ახასიათებს მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ილიჩისებურად, რომ ეს ჩვენი პარტიის დიდი გამარჯვებაა!

ვის შეუძლია უარჰყოს ახლა, რომ ამით მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც ესოდენ ღრმად და სწორად გამოხატავს საზოგადოების მდგომარეობას სოციალიზმის ეპოქაში!

საბჭოთა ადამიანის ახალ თვისებათა დანერგვა-განმტკიცებაში ლენინური პარტიის წევრები განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა ცდილობდნენ, რომ ჩვენი დიდი მასწავლებლის ღირსი იყვნენ. ჩვენი ლენინური პარტიის, რევოლუციონერთა პარტიის წევრები მთელ თავიანთ მუშაობაში ყველაზე მოწინავე ხაზზე უნდა იყვნენ. საწარმოში მომუშავე ბოლშევიკი მოვალეა მოწინავე იყოს, უნაკლოდ და გადაჭარბებით ასრულებდეს თავის გეგმას, იყოს მისაბაძი ყოველი მუშისათვის. სოფლად მომუშავე ბოლშევიკი უნდა იყოს კოლმეურნეობის სოციალისტური ცხოვრების აქტიური ორგანიზატორი, კოლმეურნეობის გაძლიერების მოწინავე გამოცდილების უნარიანი გამავრცელებელი, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის მებრძოლი და სახელმწიფოს და კოლმეურნეთა ინტერესების დამცველი. მაშასადამე, საქმე ეხება წარმოებასა და მთელ საბჭოთა ცხოვრებაში კომუნისტების ავანგარდული, მოწინავე როლის კიდევ უფრო გაძლიერებას. რა პოსტიც უნდა ეკავოს ბოლშევიკს საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, იგი თავის ხელმძღვანელ როლს უნდა ახორციელებდეს, როგორც სახელმწიფოს ინტერესთა დამცველი, როგორც სახელმწიფო ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი.

მასების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა მოვალეობანი რომ ღირსეულად შეასრულონ, კვლავაც რომ განახორციელონ მოწინავე და წამყვანი როლი ჩვენს საბჭოთა ცხოვრებაში, ამისათვის კომუნისტები მუდამ უნდა მუშაობდნენ თავიანთი სრულყოფისათვის, უფრო ღრმად და შემოქმედებითად ეუფლებოდნენ დიად ლენინურ მოძღვრებას, აღწევდნენ სულ უფრო და უფრო მეტ პოლიტიკურ სიმწიფეს, ითვისებდნენ და ითვალისწინებდნენ თავიანთ მოღვაწეობაში სოციალისტური მშენებლობის სულ ახალ და ახალ გამოცდილებას. კომუნისტი მოვალეა მუდამ იფართოებდეს გონებრივ ჰორიზონტს, ისწრაფოდეს, რომ დღეს გუშინდელზე, ხვალ კი დღევანდელზე უფრო განათლებული და კულტურული იყოს. კომუნისტი მოვალეა იყოს ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკის ყველაზე მებრძოლი და ენერგიული გამტარებელი.

საბჭოთა ადამიანებში ახალ სოციალისტურ თვისებათა დანერგვა ისტორიულად აუცილებელი საქმეა. იგი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გეგმის არსებითს ნაწილს წარმოადგენს. იგი მოითხოვს შეუპოვარ მუშაობას ყოველგვარი ცრურწმენის, დახავსებული ჩვეულების, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა ადამიანებში ამ ახალ თვისებათა დანერგვა, მათი კულტურულობის განუწყვეტელი ზრდა ნიშნავს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გონებრივი და კულტურული უპირატესობის შექმნას ბურჟუაზიული ქვეყნების ადამიანთა ცივილიზებულობასა, ხასიათსა და განვითარების დონესთან შედარებით.

ასე ახორციელებს ბოლშევიკური პარტია ლენინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ანდერძს.

ლენინიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით საბჭოთა ხალხის აღზრდისათვის ამ მუშაობაში ჩვენს პარტიას თვალწინ უდგას თავისი ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და ამხანაგ სტალინის დიადი სახეები. ყოველი ბოლშევიკი და უპარტიო მშრომელი, რომელიც დაკვირვებით სწავლობს, უფიქრდება ჩვენი პარტიის აღმზრდელთა და ბელადთა რევოლუციური ცხოვრების ისტორიას, მჩქეფარე მოღვაწეობის ისტორიას, ხედავს ხალხისადმი თავდადებული სამსახურის ცოცხალ, კეთილშობილურ მაგალითს. მათს ბიოგრაფიებში, მათს ცხოვრებასა და საქმიანობაში ხორცშესხმულია ჩვენი პარტიის დიადი გამოცდილება, ხორცშესხმულია მარქსისტული მეცნიერება — განვითარებული და ცხოვრებაში ოსტატურად გამოყენებული. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებში საბჭოთა ადამიანები ხედავენ სიბრძნის წყაროს, პარტიის დიდი პოლიტიკური გამოცდილების საუნჯეს, ლენინურ-სტალინურ იდეათა შემეცნების წყაროს. აქედან გასაგებია, თუ ჩვენს პარტიასა და უპარტიო მშრომელთა უაღრესად ფართო წრეებში რატომ არის ესოდენ ძლიერი მისწრაფება — შეისწავლონ ჩვენი პარტიის დამაარსებელთა და ბელადთა ბიოგრაფიები, ესოდენ მკაფიო და ძლიერი სურვილი — მიიღონ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობისაგან აღმაფრთოვანებელი მაგალითი შემდგომი ახალ-ახალი გმირობისათვის საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

III

### ლენინური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა

ბოლშევიკების პარტიის შექმნა და აღზრდა ლენინის უდიდესი დამსახურებაა.

ჩვენმა ლენინურმა პარტიამ სავსებით გამოიჩინა თავი როგორც მუშათა კლასის მებრძოლმა ორგანიზაციამ, მშრომელთა პოლიტიკურმა ბელადმა, რომელსაც მიჰყავს ხალხი დიდი საგმირო საქმეების შესასრულებლად, უნარი შესწევს მონახოს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყველაზე ძნელი და რთული არსებითი საკითხების სწორი გადაწყვეტა. რამდენი ასეთი საკითხი წამოჭრილა და იჭრება ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში! და რა მოფიქრებულად, ყოველთვის ყველა პლუსისა და ყველა მინუსის აწონდაწონით, რა ბრძნულად აწყვეტს მათ პარტია! თუ ამჟამად საბჭოთა კავშირი მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის დიდი ძალაა, რომელსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში, ამას ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს ჩვენი პარტიის პოლიტიკას. თუ საბჭოთა კავშირმა დაამარცხა თავისი მტრები ომში და ახლა მთელი სიგრძეგანით აჩაღებს სამეურნეო მშენებლობას, მთელი სისწრაფით მიეშურება წინ, ამას საბჭოთა ადამიანები სამართლიანად უკავშირებენ კომუნისტების პარტიის, მისი ტვინისა და წარმმართველი ძალის — ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობას. თუ ჩვენი ხალხი, თავის გზაზე მნიშვნელოვან სიძნელეებს რომ ხვდება, ყოველთვის პოულობს გამოსავალს ამ სიძნელეებიდან, უნარიანად სწყვეტს და აღმოფხვრის ამ სიძნელეებს, ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ჩვენი დიადი პარტიის განსაკუთრებული ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის მეოხებით, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მეოხებით.

ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკის წარმატებანი მიღწეულია იმის მეოხებით, რომ პარტია თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით, მისი ანდერძით. ჩვენს ქვეყანაში ლენინიზმს სამართლიანად უწოდებენ ბოლშევიკების პარტიის დროშას, მილიონობით მშრომელთა დროშას.

იყო დრო, როცა სოციალისტები ერთეულებს წარმოადგენდნენ და არ შეეძლოთ რამდენადმე არსებითი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძალა ის არის, რომ იგი, როგორც სთქვა ამხანაგმა სტალინმა, მუშათა კლასის რწმენის სიმბოლოა, მისი რევოლუციური დროშაა. ორმოცი წლის წინათ თავის შესანიშნავ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ამხანაგი სტალინი სწერდა:

„...მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე „ფილოსოფიური სკოლის“ არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ძლიერდება. ვინც ამ მოძღვრებას ებრძვის, ვისაც მისი „დამხობა“ უნდა, მან კარგად უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს, რომ ტყუილუბრალოდ არ გაიტეხოს შუბლი უსწორო ბრძოლაში“ (თხზ., ტ. I, გვ. 350).

ისტორიას არ ახსოვს მაგალითი პარტიის ისეთი მტკიცე კავშირისა თავის კლასთან, თავის ხალხთან, როგორიც აქვს ბოლშევიკების პარტიას. ლენინელები მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლები არიან. ისინი ხალხს ეფერთდებიან და მას მიუძღვიან, მიჰყავთ იგი, მშრომელთა უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

დიდი, დაუშრეტელია ჩვენი საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისი მშობლიური პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. მშრომელთა ეს სიყვარული და ნდობა პარტიისადმი, მასებში ლენინური პარტიის სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტი წარმოიშვა და განვითარდა ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის პარტიის ბრძოლის მრავალი წლის განმავლობაში. ნახევარი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა პარტიის ეს გმირული, თავდადებული ბრძოლა, რომელიც მსოფლიო-ისტორიული წარმატებებით დაგვირგვინდა.

ოცდასამი წლის წინათ ამხანაგი სტალინი თავის სიტყვაში ლენინის გარდაცვალების გამო ამბობდა:

„საუკუნეების განმავლობაში ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს მხრებიდან ჩამოეგდოთ მჩაგვრელები და თავიანთი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ, გულში ჩაეხშოთ დამცირება და შეურაცხყოფა, გულისწყრომა და სასოწარკვეთილება და აღეპყროთ თვალი გამოუცნობი ცისაკენ, საიდანაც ისინი ხსნას ელოდნენ. მონობის ბორკილი ხელუხლები რჩებოდა, ანდა ძველ ბორკილს სცვლიდა ახალი, ისეთივე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შესძლეს მშრომელთა ჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა დაემხოთ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და დაემყარებინათ მუშათა და გლეხთა ბატონობა. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია“.

პარტიის ეს ბრძოლა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის წყაროა საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულისა და სრული ნდობისა თავისი ლენინურ-სტალინური პარტიისადმი. (ტაში).

ბოლშევიკების პარტიისადმი მთელი ხალხის ნდობის ძალა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ძალა მკაფიოდ იჩენს თავს საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. ჩვენი ხალხი აღფრთოვანებით ემზადება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის, საქმით ახორციელებს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს, მშრომელთა დემოკრატიის პრინციპებს. ახლა ყველა ხედავს, რა ერთსულოვნებით უჭერენ მხარს დიადი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა წამოაყენა. ყველა ხედავს, რა სიხარულით ასახელებენ საბჭოთა ადამიანები დეპუტატობის კანდიდატებად თავიანთ ხელმძღვანელებს — პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწეებს, თავიანთ აღმზრდელსა და ბელადს დიდ სტალინს. **(მქუხარე ტაში. დამსწრენი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ამხანაგ სტალინს).** რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის კავშირს მშრომელებთან, განამტკიცებს ჩვენს საბჭოებს და გამოიწვევს საბჭოების მთელი მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხის ნდობა და სიყვარული ლენინური პარტიისადმი მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის ზრდით. იგი მუდამ იკრებს მუშათა კლასის როგორც ჩვენი საზოგადოების მოწინავე კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანებს. როგორც ცნობილია, პარტიამ სამამულო ომში დაჰკარგა ასეულ ათასობით თავისი შვილი, რომლებიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს საბჭოთა სამშობლოს. მაგრამ ამავე დროს პარტიაში განუწყვეტლივ შედიოდნენ ჩვენი ქვეყნის სულ ახალი და ახალი მოწინავე ადამიანები. ისინი განუწყვეტლივ აძლიერებდნენ და განამტკიცებდნენ პარტიას, რადგან საბჭოთა ადამიანებს ჩვენი პარტია მიაჩნიათ თავიანთ მახლობელ და მშობლიურ პარტიად, ნებაყოფლობით ანდობენ მას თავიანთ ბედს. ისინი სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ჩვენი ლენინური პარტიის გაფართოებითა და განმტკიცებით. ომის წლებში ჩვენი პარტია არათუ შემცირდა, არამედ კიდევაც გაზარდა თავისი რიგები. ომის წინ პარტიაში სამ-მილიონნახევრამდე წევრი და კანდიდატი იყო, ახლა კი მის რიგებში ექვს მილიონზე მეტი კაცი ითვლება!

ეს დიდი ძალაა, ამხანაგებო. (ტაში).

ჩვენი ბოლშევიკური პარტია განაგრძობს თავისი შემადგენლობის გაძლიერებასა და განმტკიცებას. ჩვენი პარტიის ძირითად ბირთვს ამჟამად შეადგენენ კადრის მუშები და ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნენი. პარტიაში არიან საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები. ამჟამად პარტიაში ირიცხება 400 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე და 1.300 ათასამდე საშუალო განათლების მქონე კომუნისტი, 148 ათასი ინჟინერი, 24 ათასი აგრონომი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, თითქმის 40 ათასი ექიმი, 80 ათასი პედაგოგი.

ჩვენი პარტიის დიდი მიღწევაა ის, რომ მის რიგებშია 1 მილიონზე მეტი ქალი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ქალი, რომელსაც მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვს, უდიდეს ძალას წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ამჟამად ბურჟუაზიული ქვეყნების რომელ მმართველ პარტიას შეუძლია სთქვას, რომ ასეთივე ავტორიტეტი აქვს ხალხში, ასეთივე ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს მშრომელთა უაღრესად ფართო მასებში?

ასეთი პარტია არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს ქიშპობს ბურჟუაზიულ და მათთან მახლობელ პარტიებს შორის.

გასაგებია, რომ თვით პარტიას, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, მოთხოვნებიც დიდი წარედგინება.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი საბრძოლო როლი მთელ საბჭოთა ცხოვრებაში, ამაღლდეს პარტიულ ორგანიზაციათა აქტივობა ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში, დაირაზმოს მთელი ჩვენი ხალხი 1947 წლის, ახალი ხუთწლედის მეორე წლის, გეგმის მიღიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

ამხანაგებო! უკვე ნახევარი საუკუნეა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები ლენინიზმის დროშით იბრძვიან. რამდენი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია წარმოიშვა და თითქმის უკვალოდ გაქრა ამ ხნის განმავლობაში ზოგერ დიდ თანამედროვე სახელმწიფოში! მხოლოდ ჩვენი სახელოვანი პარტია იდგა და დგას მთელი ამ წლების განმავლობაში, როგორც ძალლონით, მხნეობით აღსავსე, ფხიზელი და ბრძენი, მძლავრი ბუმბერაზი, რომელიც მთელ მსოფლიოს აოცებს თავისი ჭეშმარიტად უჩქნობი გამარჯვებებით. ლენინი კომუნისტურ პარტიას ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს უწოდებდა. ჩვენი პარტია ამ შესანიშნავ თვისებებს ლენინს უნდა უმადლოდეს. ამხანაგი სტალინი ამბობს: „ჩვენ გვაწრთობდა დიდი ლენინი, ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელმაც არ იცოდა და არ სცნობდა შიშს ბრძოლაში“. სწორედ ბოლშევიკების პარტია იყო ის წარმმართველი ძალა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს მიუძღოდა სულ წინ და წინ, ლენინის მიერ დასახული დიადი მიზნისაკენ— კომუნიზმისაკენ. დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენი პარტიის ის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც პარტიის მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში დაიცვა ლენინის დიადი დროშა, გააერთიანა და დარაზმა მთელი პარტია, მთელი ხალხი ილიჩის ანდერძთა გარშემო, გამოიყვანა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ჩვენი გლეხობა და ინტელიგენცია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფართო და სწორ გზაზე. ბოლშევიკური პარტიის ამ ბირთვს წარმოადგენს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელი და პარტიისა და სახელმწიფოს წამყვანი ძალა იყო და არის ლენინის შესანიშნავი მოწაფე, მისი ღირსეული მემკვიდრე და მისი საქმის დიდი განმგრძობი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

კვლავაც ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი ჩვენი სახელოვანი პარტია!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის უძლეველ დროშას—ლენინიზმს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს— სოციალიზმის შემოქმედს!

გაუმარჯოს ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, საბჭოთა ხალხის აღმზრდელსა და ბელადს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. სხდომის მონაწილენი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“).**

---

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

### თბილისის ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მშენებლობაზე

**ახალ სამუშაოთა დაწყების წინ**

ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მშენებელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა უკვე მიიღო 1947 წლის სამუშაოთა პროგრამა. მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ქარხნის მთავარი ობიექტის—სალოკომოტივო კომბინატის აგება და იგი მემონტაჟეებს გადაეცეს მოწყობილობის გამართვის დასაწყებად; აიგოს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 2.500 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, გაყვანილ იქნას სამშენებლო ტერიტორიაზე მისასვლელი საავტომობილო გზები და დამთავრდეს საქარხნო ტერიტორიაზე ნიაღვარსაშვებთა ქსელის მოწყობა.

გარდა ამ მთავარი სამუშაოებისა წელს დაწყებული იქნება აგრეთვე ახალი დიდი ობიექტის — ელექტრომავალთა სარემონტო საწარმოს აგება და მოწყობა. ამის პარალელურად დამთავრდება — სამჭედლო, სამსხმელო, სამოდელო, საქვაბე და რამდენიმე სხვა დამხმარე საამქროს მშენებლობა. ამ საამქროებში ამჟამად მშენებლობასთან ერთად სწარმოებს უკვე მიღებული მოწყობილობის მონტაჟი.

**9 თებერვლის აღსანიშნავად**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის—9 თებერვლის აღსანიშნავად ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მშენებლებმა იკისრეს: დაამთავრონ სალოკომოტივო კომბინატის პირველი მალის ტიხრის დაბეტონება, ერთი ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება და განახორციელონ მშენებლობაზე ახალი რაციონალიზატორული წინადადებანი.

ნაკისრ ვალდებულებებს მშენებლები წარმატებით ანაღდებენ. სალოკომოტივო საამქროში ტიხრის დაბეტონება, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, შეუფერხებლად მიმდინარეობს. საცხოვრებელი სახლი, რომლის დამთავრებაც 9 თებერვლისათვის იკისრეს, უკვე გადახურულია და ამ დღეებში დაიწყება მისი შიგნითა მოწყობა.

არჩევნების შესახვედრად ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი დურგალმა ტ. გონგაძემ, მეარმატურეებმა ი. ბანიკოვმა და გლებოვმა, პირველი სამშენებლო უბნის უფროს ინჟინერ ვ. სელიხოვის ჯგუფმა და სხვ.

**დ. ამირანიძე**

### ორასოვანთა რიგებს ემატებიან ახალი ადამიანები

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა სამხრეთ-ოსეთის საწარმოებში სტახანოველთა რიგების ზრდით აღინიშნება.

კვაისის სამთამადნო საწარმოთა მშენებლობაზე უკანასკნელ დღეებში ორასოვნები გახდნენ ბ. და ვ. თებლოევები, ზ. ოსტაევი, პ. ივანოვი, ე. ბაგაევი, ბ. ზასეევი და ათობით სხვა მშენებელი.

ასევე გაიზარდა ორასოვანთა წყება სამხრეთ-ოსეთის სხვა საწარმოებში. სტალინირის ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატში მხერხავი ი. ქვალანიძე ამჟამად ყოველდღიურად იძლევა 44-46 კუბურ მეტრ დახერხილ ხე-ტყის მასალას, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 20 კუბური მეტრისა. იმავე კომბინატის მუშა-ქალი მ. ამელოვა დღიურ ნორმას ახლა ორმაგად და ხშირად სამმაგად ასრულებს. ბოლო ხანებში ორასოვანთა რიგებს შეემატნენ და არჩევნების შესახვედრად საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ვ. ქარუხნიშვილი, რ. ცხოვრებოვი და სხვ.

**ვ. გელაშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

### კოლმეურნეები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

მოწინავეა თელავის რაიონში სოფელ ყურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა. მან წარმატებით დაამთავრა 1946 სამეურნეო წელი. ჰექტარზე სიმინდის საშუალო მოსავალი მიიღო 21.5 ცენტნერი, გეგმა კი 16 ცენტნერს ითვალისწინებდა. თვითეულ შრომადღეზე გაიცა 4.5 კილოგრამი მარცვლეული. გადაჭარბებით შესრულებულია მეცხოველეობის განვითარების გეგმაც.

არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი ახალი წარმატების მოპოვებას. გაჩაღებულია მზადება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. 20 ჰექტარზე მეტი ვენახი გასხლულია. რიგთა შორის ვენახის გამობარვა ჩატარებულია 20 ჰექტარზე. ამზადებენ ნიადაგს წელს 1 ჰექტარი ახალი ვენახის გასაშენებლად, 6 ჰექტარზე გააშენეს აკაცია. კოლმეურნეობას უკვე მზად აქვს გუთნები და სხვა საჭირო იარაღ-მანქანები.

**ნ. პლატონიძე**

### ლენინის ორდენოსან მაღაროელთა წარმატებანი

ჭიათურელი მაღაროელები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან დიდი ლენინის ხსოვნის დღეებს.

უკანასკნელ ხანებში ყველა მაღარო აღწევს წარმატებას. ლენინის ორდენით დაჯილდოებულმა სტახანოველებმა კ. ლავთაძემ, პ. მიროტაძემ და ს. ოთინაშვილმა იანვრის გეგმები ორ დეკადაში გადამეტებით შეასრულეს. პ. მიროტაძემ ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით 400 ტონა მარგანეცი გამოიღო.

წარმატებით მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც ლენინის ორდენოსნები გ. ფოფხაძე და პ. ბოყოველი ხელმძღვანელობენ.

**პ. ჭიოკაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

### ახალსოფლელ კოლმეურნეთა მიღწევები

დიდი შრომითი აღფრთოვანებით ემზადებიან ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

კოლმეურნეობა ყოველ წელს მაღალ მოსავალს იღებს. ეს კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობის შედეგია. ამ კოლმეურნეობას 1930 წლიდან ხელმძღვანელობს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და სამი მედლით დაჯილდოებული ამხ. ანთიმოზ როგავა.

კოლმეურნეობაში არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობა. საგაზაფხულოდ უკვე შეკეთებულია 18 გუთანი. მზად არის ფარცხი, კულტივატორი და სათესი მანქანა. მოგროვებულია 1.000 კილოგრამამდე ორგანული სასუქი. კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ ციტრუსების, ტუნგოს და ვენახისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. მათ შორის გამოირჩევიან ლუბა ყუფუნია, ნ. ჯოჯუა, ა. როგავა, დ. ქადარია და ე. ლუბელაძე, რომლებიც გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

კოლმეურნეები ამაყობენ იმით, რომ 9 თებერვალს ხმას მისცემენ ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანს თავისი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ანთიმოზ პიხელის-ძე როგავას.

**შ. ჭოჭუა**

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

# გიორგი ქუჩიშვილის ხსოვნას

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 20 იანვარს თბილისში გარდაიცვალა ქართველი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის და ნორჩი თაობის საყვარელი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

40 წლის მანძილზე გიორგი ქუჩიშვილი თავისი შემოქმედებით გულწრფელად და უანგაროდ ემსახურებოდა მშრომელ ხალხს, მის დიდ მიზნებსა და იდეალებს.

გიორგი ალექსანდრეს-ძე ქუჩიშვილი (ჩხეიძე) დაიბადა 1886 წელს სოფელ მერეში (კახეთი), მამა ადრე მოუკვდა. გიორგი და მისი ძმები აღზარდა დედამ, რომელიც გამზრდელად მსახურობდა მდიდართა ოჯახებში და ისე ინახავდა შვილებს. ბავშვის აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონდა ბებიას, მაღალი ზნეობის, ნაკითხს, მწიგნობარ ქალს.

გ. ქუჩიშვილს საშუალება არ მიეცა მიეღო სისტემატური განათლება. ცხრაასიან წლებში იგი დედამისმა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ მებაღეობის სკოლაში მიაბარა. აქ გიორგი დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ მოწინავე ახალგაზრდობას და 1902 წლიდან უკვე გახდა არალეგალური მარქსისტული წრეების აქტიური წევრი. ამ წრეებში მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მომავალი პოეტის იდეურ გათვითცნობიერებას და პოლიტიკურ მომზადებას. მებაღეობის სკოლის დამთავრების შემდეგ გ. ქუჩიშვილი პრაქტიკანტად მუშაობდა მუკუზნის საუფლისწულო მამულში, სადაც იგი ფარულ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა მამულის მუშებსა და ახლომახლო სოფლების გლეხობაში.

სამწერლო ასპარეზზე გიორგი ქუჩიშვილი 1906 წელს გამოვიდა. მისი ლექსები უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული პერიოდული გამოცემების ფურცლებზე იბეჭდებოდა. 1907 წლიდან 1914 წლამდე გ. ქუჩიშვილი მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რედაქციებში, როგორც პოეტი და ჟურნალისტ-ლიტერატორი. 1914 წელს არალეგალური მუშაობისათვის ჟანდარმერიამ გიორგი შეიპყრო და ჩასვა ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროში, სადაც მან რამდენიმე თვე დაჰყო.

ეწეოდა რა რევოლუციურ-საზოგადოებრივ მუშაობას, გ. ქუჩიშვილი დიდ შემოქმედებით ნაყოფიერებას იჩენდა, როგორც პოეტი-ლირიკოსი. მისი ლექსები განუწყვეტლივ ქვეყნდებოდა ქართულ მოწინავე ჟურნალ-გაზეთებში. პირველი მისი წიგნი 6 ათასი ცალი ტირაჟით გამოქვეყნდა 1914 წელს. განსაკუთრებით ხშირად იცემოდა გ. ქუჩიშვილის ლირიკული ლექსები და პოემები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დღემდე გამოცემულია გ. ქუჩიშვილის ლექსების, პოემების და მოთხრობების 16 წიგნი.

გ. ქუჩიშვილმა გაიარა შრომითა და ბრძოლებით აღსავსე ცხოვრების დიდი სკოლა. პოეტის ბავშვობა და ყრმობა დაემთხვა ქართველი ხალხის ისტორიის იმ დიდმნიშვნელოვან პერიოდს, როცა ჩვენში სამოქმედო სარბიელზე გამოვიდა მუშათა კლასი, რომლის ზეგავლენით და ხელმძღვანელობით მშრომელი გლეხობა მტკიცედ ირაზმებოდა თვითმპყრობელობის დასამხობად. ჭაბუკი პოეტი გახდა დიდი სახალხო მოძრაობის — თვითმპყრობელობის, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაწყებული დიდი ბრძოლის მოწმე და აქტიური მონაწილე.

გასული საუკუნის რუსული და ქართული ლიტერატურის დიდ დემოკრატიულ ჰუმანისტურ ტრადიციებზე აღზრდილი გიორგი ქუჩიშვილი, რომელიც თავისი პირადი გამოცდილებით კარგად იცნობდა მემამულეთაგან და ცეფის მოხელეთაგან დაჩაგრული, ტანჯული გლეხკაცობის და ქალაქის მშრომლების ცხოვრებას, ეზიარა მუშათა მოწინავე იდეებს და თავისი ბედი როგორც მოქალაქემ და როგორც პოეტმა-ლიტერატორმა თავისი ხალხის ბედს დაუკავშირა. გიორგი ქუჩიშვილი ღრმად განიცდიდა როგორც მარცხს ისე წარმატებას, როგორც ჭირს



ისე ლხინს ბრძოლასა და შემოქმედებით შრომაში ჩაბმული მასებისას. და მისი პოეზიაც, რომელიც ყოველთვის მებრძოლი და გამრჯე ხალხის ცხოვრებით საზრდოობდა, იყო დიდი სახალხო-საზოგადოებრივი მოვლენების გამოძახილი.

გ. ქუჩიშვილის პირველი პერიოდის ლექსებში მოგვესმის სევდისა და მწუხარების ჰანგებიც, მაგრამ ეს არის სევდა მებრძოლი კაცისა, რომელსაც გულს უკლავს საპატიმროებში გამომწყვდეული მეგობრების კვნესა და ციმბირისაკენ მიმავალი თანამებრძოლების ბორკილთა ჟღარუნი. პოეტის სევდა და ცრემლი სწრაფწამავალი აღმოჩნდა. მებრძოლმა მშრომელმა ხალხმა, ჭირში გაუტეხელმა ხალხმა, რომელმაც მოიშუშა შავი რეაქციისაგან მიყენებული მძიმე ჭრილობები და რომელსაც თავისი ბედი დაუკავშირა პოეტმა, კაეშნისაგან გაჰკურნა იგი და ახალი ბრძოლებისათვის ააჟღერა მისი ჩანგი.

ახალი რევოლუციური ტალღის აზვირთებას თან სდევს გიორგი ქუჩიშვილის მხნეობითა და სიმტკიცით აღსავსე მომწოდებელი ლექსები, რომლებითაც პოეტი აღვივებს და ამძაფრებს საბრძოლო განწყობილებას. ლირიკულ ლექსებს გარდა პოეტი სწერს ეპიურ ნაწარმოებებსაც, სადაც, ერთი მხრივ, გვისურათებს ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა სიდუხჭირეს, მშრომელი ადამიანის მორალურ დამცირებას, მისი კაცური ღირსების გათელვას და, მეორე მხრივ, გვიხატავს მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თავდადებულ გმირთა სახეებს. პოეტმა არა ერთი და ორი შთაგონებული ლექსი უძღვნა მუშათა კლასს და მის წინამძღოლებს. ეს ლექსები ნამდვილი ჰიმნია პროლეტარიატის იდეური და მორალური ძლიერებისადმი, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა უდიდესი საკაცობრიო ღვაწლისადმი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს 1924 წელს დაწერილ ლექსში „ოქტომბერი" გ. ქუჩიშვილმა დაგვიხატა დიდი ლენინის სახე, წარმოგვიდგინა ბელადი მოქმედებაში, გვიჩვენა მისი დამრაზმავი ძალა ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში. ამ ლექსში პოეტი ამბობს, რომ მშრომელი ხალხი განუხრელად შეასრულებს ლენინის ანდერძს, ააშენებს ახალ ქვეყანას და ამით თავის ბელადს აუგებს ძეგლს, რომელიც გაუძლებს ყველა ქარიშხლიან საუკუნეს. პოეტის მთელი შემდგომი შემოქმედება ასახავს იმას, თუ როგორ ახორციელებს საბჭოთა ქვეყანა ბელადის წინაშე დადებულ აღთქმას.

ყველაფერი ის, რაც გააკეთა, კერძოდ, ქართველმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, აისახა გ. ქუჩიშვილის ლექსებში. პოეტმა წარმტაცი ჰანგებით უმღერა დაძაბული შრომით აგებულ ინდუსტრიის გიგანტებს, ათასფრად აყვავებულ საკოლმეურნეო ყანებს, გურია-სამეგრელოს ლამაზ პლანტაციებს, კახეთის ბაღ-ვენახებს. სოციალისტურ მშენებლობაზე დაწერილი ყოველი მისი ლექსის შთამაგონებელია ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი დიდი სტალინი. პოეტი უხმობს მთელ თავის პოეტურ შესაძლებლობას, რათა გამოხატოს ხალხის უსაზღვრო სიყვარული და მადლობის გრძნობა დიდი ბელადისადმი, რომლის გენიალური ხელმძღვანელობით აყვავდა და აღორძინდა მთელი საბჭოთა კავშირი და მასში შემავალი ყოველი რესპუბლიკა. გ. ქუჩიშვილმა მრავალი გულწრფელი პოეტური სტრიქონი უძღვნა ქართველი ხალხის საამაყო შვილს—ლავრენტი ბერიას, რომლის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

როდესაც ფაშისტი მტაცებლების ველური ურდოები ვერაგულად დაესხნენ ჩვენს სამშობლოს და საბჭოთა ხალხი მოსისხლე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება, გ. ქუჩიშვილი პოეტი-მებრძოლი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ბელადის მოწოდებას, უმალვე თავისი კალამი ხიშტს გაუთანაბრა, მეომარი ხალხის სამსახურში ჩააყენა ჩანგიც და მკლავიც. როცა მტერი კავკასიის კარიბჭეებს მოადგა, გ. ქუჩიშვილი თან გაჰყვა თავის მებრძოლ ლექსებს და ბაქსანის ხეობაში მტრის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ჭიდილში ჩაბმული მეომრების გვერდით გაჩნდა. სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების შემდეგ გ. ქუჩიშვილი თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტით ადიდებდა ძლევამოსილი საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ხალხმა ღირსეულად დააფასა გიორგი ქუჩიშვილის ღვაწლი და ამაგი. საბჭოთა მთავრობამ პოეტი დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის". გასული წლის 25 ნოემბერს მადლიერმა სამშობლომ გ. ქუჩიშვილს გადაუხადა 40 წლის მოღვაწეობის იუბილე, რომელიც პოეტისადმი მთელი ქართველი ხალხის ღრმა სიყვარულის დემონსტრაციად გადაიქცა.

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია მუდამ მადლობით მოიხსენიებს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლს, მისი აყვავებული და განახლებული ცხოვრების მომღერალ პოეტს—გიორგი ქუჩიშვილს.

ვ. კუპრაძე, ს. ჩიქოვანი, აკ. ხორავა, გ. ტაბიძე, ა. გომიაშვილი, ი. აბაშიძე, კ. გამსახურდია, გ. ჯიბლაძე, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, გ. ნატროშვილი, დ. სულიაშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. აბაშელი, გ. აბაშიძე, ლ. ასათიანი, ი. ავალიძე, შ. აფხაიძე, ერ. ახვლედიანი (?), დ. ბენაშვილი, კ. ბობოხიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. გორგაძე, დ. გაჩეჩილაძე, რ. გვეტაძე, მ. გარიყული, ვ. გაბესკირია, ა. გაწერელია შ. დადიანი, ს. ეული, ი. ვაკელი, ს. ვარდოშვილი, ს. თავაძე, პ. ინგოროყვა, მ. იასამანი, ი. იმედაშვილი, კ. კალაძე, გ. კაკაბაძე, ს. კლდიაშვილი, ი. ლისაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, ა. მაშაშვილი, მარიჯან, ნ. ნაკაშიძე, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, შ. რადიანი, თ. სახოკია, ს. ფაშალიშვილი, გ. ცეცხლაძე, ირ. ქავჟარაძე, გ. ქიქოძე, ალ. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, გ. შატბერაშვილი, დ. შენგელაია, ა. შენგელია, ბ. ჩხეიძე, დ. ჩხეიძე (თურდოსპირელი), კ. ჭიჭინაძე, ალ. ჭეიშვილი, ს. ჭილაია, ვ. წულუკიძე, ს. წვერავა, ა. ადამია, ი. ხოშტარია.

## გიორგი ქუჩიშვილის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

23 იანვარს პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ცხედარი დასვენებულ იქნება მწერალთა კლუბში (მაჩაბლის, 13), სამოქალაქო პანაშვიდი—დღის 2 საათზე.

გამოსვენება მოხდება 23 იანვარს დღის 3 საათზე მწერალთა კლუბიდან (მაჩაბლის, 13).

## პოლონეთის საკანონმდებლო სეიმის არჩევნები

**ვარშავა**, 20 იანვარი. (საქდესი). წინასწარი არაოფიციალური ცნობების თანახმად, მანდატების რაოდენობა, რომლებიც მიღებულია ოლქებში სეიმის არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ, ამრიგად არის განაწილებული: დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების ბლოკი—317 მანდატი, პოლსკი სტრონიცტვო ლუდოვე (პსლ)—24, პსლ—„ნოვე ვიზვოლენიე"—12, სტრონიცტვო პრაცი—15, დამოუკიდებელი კათოლიკები—3, „ველერი" პსლ-ელი—1.

გარდა ამისა, იმ კანდიდატებს შორის განაწილდება 72 მანდატი, რომლებიც სახელმწიფო სიით გადიან, ოლქებში პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის შესაბამისად.

## პრეს-კონფერენციაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში

**ვარშავა**, 20 იანვარი. (საქდესი). პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს შესდგა საგარეო საქმეთა სამინისტროში, პრესის დეპარტამენტის დირექტორმა გროშმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ პოლონეთის მთავრობა სავსებით დაკმაყოფილებულია სეიმის არჩევნების მსვლელობით. რეაქციული არალეგალობის ცდები—ბევრ ადგილას ხელი შეეშალა არჩევნების კანონიერი მსვლელობისათვის,—სთქვა გროშმა,—პარალიზებული იყო თვით მოსახლეობის მეცადინეობით, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ხელისუფალთ წესრიგის დამყარებაში. თუმცა ჯერ კიდევ არ არის მიღებული საბოლოო ცნობები, უკვე ახლა შეიძლება აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მისვლა საარჩევნო ყუთებთან განსაკუთრებით დიდი იყო. მეტად დამახასიათებელი და საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ ათ ოლქშიც კი, სადაც ოპოზიცია მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდებდა, ამომრჩეველთა გამოცხადება მაღალი იყო.

— ამის მიხედვით,—ამბობს გროში,—მე მაკვირვებს, რომ ბატონმა მიკოლაიჩიკმა არ მოუცადა არჩევნების ნაწილობრივ შედეგებს და უკვე ნაშუადღევის 3 საათზე უცხოელ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ განზრახვა აქვს გააპროტესტოს არჩევნები და ისინი არაკანონიერად გამოაცხადოს.

როგორც ცნობილია, არჩევნების გენერალურმა კომისარმა იკისრა კენჭისყრის შედეგები გამოაცხადოს არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნების შემდეგ და ამასთან ერთად დაპირება მოგვცა ყოველივე შესაძლებელი მოიმოქმედოს ცნობების ნაწილობრივი გამოქვეყნების დასაჩქარებლად, მათი მიღების მიხედვით. ამრიგად, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ არჩევნების შედეგები ცნობილი გახდება დაწესებული ვადის რამდენადმე ადრე.

გროშს მისცეს კითხვა, მართალია თუ არა, რომ გუშინ დღის 12 საათზე პსლ-ის ორმა ხელმძღვანელმა, სახელდობრ კერნიკმა და ზალუსკიმ, უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში გამოსთქვეს თავიანთი კმაყოფილება არჩევნების მსვლელობის გამო, ხოლო სამი საათის შემდეგ მიკოლაიჩიკმა განაცხადა, რომ განზრახვა აქვს გააპროტესტოს არჩევნები. გროშმა უპასუხა, რომ უკანასკნელ დროს ოპოზიციის საქციელში იმდენი შეუსაბამობაა, რომ მას არ გაუკვირდება, თუ პსლ-ის ხელმძღვანელები სხვადასხვა თვალსაზრისს გამოსთქვამენ არჩევნების მსვლელობის შესახებ.

კითხვაზე, მართალია თუ არა ინგლისის რადიოს განცხადება, თითქოს უცხოელ კორესპონდენტთაგან მხოლოდ ცოტას ჰქონდა შესაძლებლობა თავისუფლად ედევნებინა თვალყური არჩევნების მსვლელობისათვის პოლონეთში, გროშმა გამოსთქვა უაღრესი გაკვირვება და აღშფოთება ასეთი მტკიცების გამო. ყველა უცხოელმა კორესპონდენტმა, რომელთაც კი მოისურვეს პოლონეთში ჩამოსვლა არჩევნებზე,—გროშის სიტყვით,—მიიღო ვიზა პოლონეთში ჩამოსასვლელად. მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, ამბობს გროში,—რომ ვარშავაში მყოფმა „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტმაც კი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა პოლონეთის მეგობრად ყოფილიყო მიჩნეული, თავის უკანასკნელ სტატიაში განაცხადა, რომ პოლონეთმა შეასრულა თავისი ვალდებულებანი, რომლებიც მან პოტსდამში იკისრა არჩევნების საკითხზე.

## პოლონური რეაქციული არალეგალობის ტერორისტული აქტები არჩევნების დღეს

**ვარშავა**, 20 იანვარი. (საქდესი). პრესის ცნობით, პოლონეთის სხვადასხვა ადგილას რეაქციული არალეგალური ორგანიზაციები ცდილობდნენ თავდასხმების მოწყობით ჩაეშალათ არჩევნები. მაგრამ ყველა ამ ცდას გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია, უწინარეს ყოვლისა, თვით მოსახლეობამ.

გრუბეშევის მაზრის სოფელ პესჩანში, სადაც 79-ე საარჩევნო უბანია, ოთხი ბანდიტისაგან შემდგარი ჯგუფი შეუმჩნევლად შევიდა შენობაში და ცდილობდა აეფეთქებინა საარჩევნო კომისიის შენობა. მაგრამ საარჩევნო უბნის მცველმა მოქალაქეებმა ბანდიტები აღმოაჩინეს და ბრძოლა გაუმართეს მათ. ბანდიტები დაპატიმრებულ იქნენ, ამასთან მათ აღმოაჩნდათ ორი შაშხანა, ხელის ტყვიამფრქვევი და 12 გრანატი.

გაქარწყლებულ იქნა ტყის ბანდების ცდები თავს დასხმოდნენ საარჩევნო უბნებს ლუკოვსკის, ნედლეცის, ლიუბარტოვის, კრასნიცკის და მთელ რიგ სხვა მაზრებში. შეტაკებათა დროს მოკლულ იქნა რამდენიმე ბანდიტი და რამდენიმე დააპატიმრეს.

ბელოსტოკის სავოევოდოს მთელ რიგ ადგილებში ბანდიტები ცდილობდნენ გაეფანტათ ამომრჩევლები, მაგრამ მოსახლეობის მიერ მოწყობილმა საზოგადოებრივმა დაცვამ ბანდიტები გარეკა. მაგრამ ორ შემთხვევაში ბანდიტებმა მოახერხეს ამომრჩევლები არ მიეშვათ გრუბეშევის მაზრის № 75 და № 76 საარჩევნო უბნებში. ამასთან დაკავშირებით სეიმის არჩევნები ამ უბნებში დღეს შესდგება.

არასრული ცნობებით, ბანდიტებმა დახოცეს და აწამეს 20-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები და პოლონეთის ჯარისკაცი.

## რეიტერის სააგენტო პოლონეთში მომხდარი არჩევნების შესახებ

**ლონდონი**, 20 იანვარი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვარშავიდან იუწყება, პოლონეთის ყველა კუთხიდან მიღებული ცნობების თანახმად, საყოველთაო არჩევნები, როგორც ჩანს, მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდა, გარდა ძალადობის გამოჩენის ცალკე შემთხვევებისა აღმოსავლეთ პროვინციებში. უცხოელ კორესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ არჩევნების დროს დაცული იყო ფარული კენჭისყრის უფლება და შენიშნული არ ყოფილა ზეგავლენის გამოჩენა. ათობით უცხოელი კორესპონდენტი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ არჩევნებს, ადასტურებს, რომ პოლონეთის მთავრობამ მათ ყოველგვარი შესაძლებლობა მისცა თვალყური ედევნებინათ არჩევნების ჩატარებისათვის და თავისუფლად გადაეცათ ცნობები მათ შესახებ.

## საბერძნეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის გაერთიანებული ორგანიზაციის გასამართლება

**ათენი**, 19 იანვარი. (საქდესი). გუშინ ათენში შესდგა საბერძნეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობის გაერთიანებული ორგანიზაციის — ეპონის გასამართლება. საბრალდებო დასკვნა შეიცავს მტკიცებას, თითქოს ეს ორგანიზაცია გამოდის ოჯახის, რელიგიის წინააღმდეგ, ეწევა ანტი-ეროვნულ პროპაგანდას და სხვ.

დაცვის მრავალმა მოწმემ სასამართლოს უამბო იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ეპონმა შეასრულა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში.

სახელმწიფო წესრიგის ყოფილმა მინისტრმა სოფულისის მთავრობაში — მერკურისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეპონი გმირულად ღვრიდა თავის სისხლს საბერძნეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, და განაცხადა, რომ მინისტრის პოსტზე მისი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში ერთი საჩივარიც კი არ ყოფილა შემოტანილი იმაზე, რომ ეს ორგანიზაცია „აკრძალულ" მოღვაწეობას ეწევა.

გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა მანოლიდისმა, გარეუბან კეზარიანის დემოკრატიული კლუბების თავმჯდომარემ, სასამართლოში განაცხადა, რომ ყოველივე, რაც უკანასკნელ დროს კეზარიანში გაკეთდა განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში, გაკეთებულია ეპონის წევრების მიერ. თავმჯდომარის კითხვაზე, იცის თუ არა მოწმემ, რომ ეპონელები მთებში მიდიან პარტიზანებთან, მანოლიდისმა უპასუხა: „რომ შემეძლოს, მეც მთებში წავიდოდი, რათა თავი დავაღწიო მონარქისტების ტერორს, თუმცა მე დემოკრატიულ ცენტრს ვეკუთვნი". სხვა მოწმეებიც აგრეთვე ამჟღავნებდნენ იმ ბრალდების სიყალბესა და დაუსაბუთებლობას, რაც შედგენილია პოლიციის მაძებარი ორგანოების მიერ.

დამცველმა ილიუმ გაიხსენა, რომ 22 ათასი ეპონელი გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა პარტიზანთა რიგებში. მან სასამართლოს განუცხადა, რომ ჯერ კიდევ წლინახევრის წინათ ადგილობრივ ხელისუფალთ მიეცათ ბრძანება, რომ მათ მოემზადებინათ ეპონის დასაშლელად საჭირო მასალა. ილიუმ ამის დასამტკიცებლად სასამართლოს წარუდგინა პელოპონესის სამხედრო ოლქის უფროსის ბრძანება.

დაცვა მოითხოვდა საქმის მოსპობას, ვინაიდან მთელი ბრალდება აგებულია ჟანდარმების, პოლიციელებისა და ხიტოსების (ფაშისტური ორგანიზაციის „X" წევრების) ჩვენებებზე და არავითარი ფაქტებით არ არის დასაბუთებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებათა დაუსაბუთებლობა დამტკიცებულ იქნა, პროკურორმა მოითხოვა ეპონის დაშლა, იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს ეპონი მუშებს აქეზებს გაფიცვებისათვის, პროპაგანდას ეწევა მეზობელი ქვეყნების სასარგებლოდ და სხვ.

დაცვის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილება გადადებულია ერთი კვირით.

## მდგომარეობა იტალიის მთავრობაში

**რომი**, 20 იანვარი. (საქდესი). [illegible] სააგენტო იუწყება, [illegible] და გასპერიმ, [illegible] პრეზიდენტს [illegible] შესახებ. დე გასპერი შეხვდა საბოკავშირო კომისიის მეთაურს ადმირალ სტოუნს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

**რომი**, 20 იანვარი. (საქდესი). რომის რადიო იუწყება, რომ დღეს საღამოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დე გასპერიმ სახელმწიფოს მეთაურს დე ნიკოლას განცხადება წარუდგინა მთავრობის გადადგომის შესახებ.

## იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა მოთხოვნები

**რომი**, 20 იანვარი. (საქდესი). როგორც ანსა სააგენტო იუწყება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, რომელსაც 18 იანვარს სხდომა ჰქონდა კომუნისტ მინისტრებთან ერთად, განიხილა სოციალისტურ პარტიაში გათიშვის შედეგად შექმნილი, აგრეთვე მთავრობის შემადგენლობაში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებული მდგომარეობა. ამის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში კვლავ დადასტურებულია, რომ კომუნისტებს მუშათა კლასისა და ყველა მშრომლის ინტერესებისათვის, აგრეთვე დემოკრატიის საქმისათვის საზიანოდ მიაჩნიათ მშრომელთა ძალების გათიშვა, ამიტომ ისინი მთელი ძალებით იბრძოლებენ იმის წინააღმდეგ, რომ სოციალისტურ პარტიაში მომხდარი გათიშვის შედეგები გავრცელდეს მუშათა კლასზე, მშრომელთა მასებზე, აგრეთვე მათს ორგანიზაციებზე. კომუნისტური პარტია მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალისტებთან იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ყოველგვარ გათიშვას მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებში. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთიერთობა,—ნათქვამია რეზოლუციაში,— შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაიქცეს მჭიდრო და განუწყვეტელ თანამშრომლობად ყველა დარგში საერთო საქმის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მთავრობას,—აღნიშნულია რეზოლუციაში,—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აზრს გამოსთქვამს მთავრობის კრიზისის წინააღმდეგ, რომელიც ზიანს მიაყენებს ხალხის ინტერესებს და დემოკრატიული ინსტიტუტების პრესტიჟს. რამდენადაც ეს კრიზისი იტალიაში კვლავ დასტოვებდა დაურწმუნებლობის მდგომარეობას რამდენიმე კვირის განმავლობაში და იტალიას მოაკლებდა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ყოველი მხრივ სერიოზულ მომენტში, როდესაც მან განსაკუთრებით უნდა გააკეთოს ყოველივე იმისათვის, რათა გააუმჯობესოს ფართო მასების სასურსათო და ეკონომიური მდგომარეობა, კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ კრიზისის თავიდან აცილებით საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მთავრობის პროგრამა და დადასტურდეს ვალდებულებანი მთავრობაში შემავალი ყველა პარტიისა და უწინარეს ყოვლისა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც მთავრობას მეთაურობს,—სრულიად უყოყმანოდ შეასრულონ მიღებული პროგრამა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის აზრით, ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია ცილისწამების სისტემატურ კამპანიას ეწევა მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტიის წინააღმდეგ, ასუსტებს სტაბილობას და მთავრობის ავტორიტეტს.

კომუნისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა მთავრობის ენერგიული მოღვაწეობა, მიმართული რესპუბლიკური დემოკრატიის განმტკიცებისა და დაცვისაკენ რეაქციული, მონარქისტული და ნეოფაშისტური ძალების ყოველგვარი ინტრიგის წინააღმდეგ. ამ მოღვაწეობამ უნდა მოსპოს ადმინისტრაციული აპარატის ზოგიერთი ელემენტის ანტიდემოკრატიული წინააღმდეგობა, რაც ზოგჯერ საბოტაჟამდე მიდის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა თავის რეზოლუციაში იხსენიებს, რომ მას სხვადასხვა ღონისძიებანი ჰქონდა წამოყენებული ლირის სტაბილობის დასაცავად. კომუნისტები მოითხოვენ, რათა მიღებულ იქნეს განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომლებიც შეძლებულ კლასებს, ბოლოსდაბოლოს, აიძულებდნენ თავიანთი წვლილი შეიტანონ იტალიის აღდგენის საქმეში, რაც საშუალებას მოგვცემდა ენერგიულად და სწრაფად შევდგომოდით ამ აღდგენას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კვლავ ადასტურებს, რომ იგი ისწრაფვის დემოკრატიულ ძალთა ერთიანობისაკენ იტალიის რეკონსტრუქციისა და აღორძინების განსახორციელებლად.

## შეტაკება ჩრდილო ეგვიპტეში არსებულ ინგლისურ სამხედრო ბანაკში

**ნიუ-იორკი**, 21 იანვარი. (საქდესი). ნიუ-იორკის რადიოს ცნობით, ბრიტანეთის სამხედრო ბანაკში ჩრდილო ეგვიპტეში შეტაკება მოხდა ეგვიპტელ და ბრიტანელ ჯარისკაცთა შორის. მოკლულია ერთი და დაჭრილია 67 ეგვიპტელი.

## მოხსენება

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი შ. ასლანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ძველი ქართული სანოტო ნიშნები". დასწრება თავისუფალია.

## თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

**22 იანვარს:** სახელმწიფო ოპერა — „ტოსკა". **რუსთაველის სახელობის** — „ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ასეც იქნება"; **მუსიკალური კომედიის** — „ხაჯარათი"; **სანკულტურის** — „სევდიანი რომანი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ჩვენი ახალგაზრდობა"; **რუსული** — „ჩვენი ახალგაზრდობა".

## კ ი ნ ო ე ბ შ ი

**22 იანვარს:** რუსთაველის სახელობის — „ფიცი"; **დამკვრელი** — „ლენინი 1918 წელს"; **კომკავშირელი** — „თოფიანი კაცი"; **ხსპარტაკი** —„მოუსვენარი მეურნეობა"; **ლუქსემბურგის სახელობის** — „უსახელო კუნძული"; **26 კომისრის სახელობის** — „თოფიანი კაცი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

მოქალაქე **ბურბენ ვარლამის-ძე კაციტაძემ**, მცხოვრებმა აკოფიანის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინაიდა ივანეს ასულ კაციტაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **კლეოპატრა ერასტის ასულმა გეგელაშვილმა**, მცხოვრებმა ნინოშვილის ქ. № 30, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ევგენი ნესტორის-ძე გეგელაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

გივი, თინა, ლოლა, გია ყანჩაველები იუწყებიან გამზრდელი მამიდის **ლიდა ნიკოს ასულ ყანჩაველის** გარდაცვალებას.

მეუღლე პაშა, შვილები ივანე, მიხეილ, ნათელა, ძმები დავით, ილარიონ, ალექსანდრე, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან **ტარასი ვასილის-ძე ხახალეიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23/I, 4 ს. ბარნოვის, 129.

ოჯახი იუწყება **კონსტანტინე (კოლია) იოსების-ძე უხურგუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/I, 7 ს. გამოსვენება 23/I, 4 ს. მსროლელთა, 13.

ვ. ბ. გოგუა, გ. ნ. ზამბახიძე, კ. გ. ჭიჭინაძე, მ. კ. ბალავაძე, ს. მ. ჭელიძე, ნ. ბ. გაბუნია, გ. ა. ალავიძე, ა. ფ. ბირკაია, ა. ა. გაბუნია, ნ. ი. ნამიჩეიშვილი იუწყებიან ი. ნ. ლალიძის დედის **ელისაბედ გლახუას ასულ ლალიძის** გარდაცვალებას.

პოლიკარპე კონსტანტინეს-ძე იოსელიანი იუწყება მეუღლის **ნატალია ალექსის ასულ იოსელიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23/I, 3 ს. სანაპიროს, 11.

მეუღლე ვასასი, ძმა დავით თურდოსპირელი, შვილები ცისანა და ნოდარ ჩხეიძეები, რძალი მედეა ჩაჩავა, შვილიშვილი თამარი იუწყებიან **გიორგი ქუჩიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/I დიდუბის პანთეონში.

თინა ლეჟავა, ბაბო წერეთელი, ლენა, კოლია, ქეთია, რობერტ, ცეცი სტურუები, ნაპო ზაქარაია, თეზიკო თოდუა, ეთერ შენგელაია იუწყებიან **გიორგი ქუჩიშვილის** გარდაცვალებას.

ქეთია ჩხიკვაძე შვილით დათოთი, დედით ვარდოთი იუწყება საყვარელი მწერლის **გიორგი ქუჩიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრა იუწყება დამსახურებული მასწავლებლის **ნატალია ალექსის ასულ იოსელიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/I, 7 ს. სანაპიროს 11. გამოსვენება 23/I 3 ს.

## საჭადრაკო ტურნირი აფხაზეთის პირველობაზე

არჩევნებისადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირში აფხაზეთის პირველობაზე მონაწილეობდნენ ქალაქ სოხუმის, გუდაუთის, გაგრის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონების მოჭადრაკეები.

სოხუმის დრამატული თეატრის შენობაში, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა, ყოველდღე მრავალი მაყურებელი იყრიდა თავს.

ტურნირში გამარჯვება მოიპოვა მეორე კატეგორიის მოჭადრაკემ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციის თანამშრომელმა ამხ. გ. ფხაკაძემ. მან მოიგო 7 პარტია, სამი ყაიმით დაამთავრა და პირველ ადგილზე გამოვიდა.

მეორე და მესამე ადგილი გაიყვეს პირველი კატეგორიის მოჭადრაკემ ა. ბოლოდინსკიმ და მეორე კატეგორიის მოჭადრაკემ ა. გაბელაიამ.

## ქორეოგრაფიული ანსამბლი

რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით რკინიგზის მთავარ კვანძებზე გაგზავნა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი 30 კაცის შემადგენლობით.

ანსამბლმა მომსახურება გაუწია ბათუმის, სამტრედიის, ფოთის, ქუთაისის, ზესტაფონის, ხაშურისა და სხვა რკინიგზის კვანძის მუშამოსამსახურეებს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-03-67, ხამდივნოხი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, სასოფლო-სამეურნეოსა და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00008